

შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული  
წლისათვის


შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

## სარჩევი

|                                                      |    |
|------------------------------------------------------|----|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                   | 3  |
| მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება | 4  |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                    | 5  |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება                         | 6  |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები       | 7  |
| 1. ზოგადი ნაწილი                                     | 7  |
| 2. მომზადების საფუძველი                              | 7  |
| 3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა                  | 8  |
| 1. ფულადი სახსრები.                                  | 12 |
| 2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.                       | 13 |
| 3. სავაჭრო ვალდებულებები.                            | 13 |
| 4. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება  | 13 |
| 5. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება           | 14 |
| 6. ადმინისტრაციული ხარჯები.                          | 14 |
| 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება                 | 15 |



შპს პარკუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ლარიში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით


(1 ლარი)

|                                                             | 31/12/2020       |
|-------------------------------------------------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                                             |                  |
| <b>მიმდინარე აქტივები</b>                                   |                  |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                       | 208,588          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                  | 1,418,643        |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 40,000           |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                  | 1,899            |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                   | 1,669,130        |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                                |                  |
| ძირითადი საშუალებები                                        | 90 786           |
| სულ გრძელვადიანი აქტივები                                   | 90 786           |
| <b>სულ აქტივები</b>                                         | <b>1 759 916</b> |
| <b>ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>                   |                  |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>                           |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                                       | 563,512          |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                          | 12,500           |
| საგადასახადო ვალდებულებები                                  | 159,775          |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                              | 735,787          |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                    | <b>735,787</b>   |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                    |                  |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                   | 1 024 129        |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                       | 1 024 129        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>               | <b>1 759 916</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

| საქმიანობის შედეგები                     | 31/12/2020 |
|------------------------------------------|------------|
| ნეტო ამონაგები                           | 3,346,461  |
| გაყიდვების თვითღირებულება                | (2004481)  |
| საერთო მოგება                            | 1 341 980  |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | (263,526)  |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | (3,010)    |
| იჯარის ხარჯი                             | (26,412)   |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (43,756)   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | (336,704)  |
| საოპერაციო მოგება                        | 1 005 276  |
| დადებითი საკურსო სხვაობა                 | 21,771     |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                 | (2,918)    |
| მოგება დაბეგვრამდე                       | 1 024 129  |
| გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს          | 1 024 129  |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



შპს პარკუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სხვა<br>რეზერვები | სულ       |
|-------------------------------|-----------------------|-------------------------|-------------------|-----------|
| ნაშთი 01.01.2020              | 0                     | 0                       | 0                 | 0         |
| სხვა ცვლილება                 |                       |                         |                   |           |
| წლის მთლიანი სრული შემოსავალი |                       | 1 024 129               |                   | 1 024 129 |
| დივიდენდის განაწილება         |                       |                         |                   |           |
| ნაშთი 31.12.2020              |                       | 1 024 129               |                   | 1 024 129 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



*[Handwritten signature]*



შპს პარკუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარიში)

### ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის  
(1 ლარი)

|                                                                      |                  |
|----------------------------------------------------------------------|------------------|
| <b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>                      |                  |
| მყიდველებისა და დამკვეთისაგან მიღებული ფულადი სახსრები               | 3,052,924        |
| მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები                               | (2,111,143)      |
| გაცემული შრომის ანაზღაურება                                          | (189,630)        |
| გადახდილი გადასახადი                                                 | (360,113)        |
| საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები                | (39,419)         |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანობიდან</b>      | <b>352,619</b>   |
| <b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>                    |                  |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                         | (110,678)        |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან</b>    | <b>(110,678)</b> |
| <b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>                       |                  |
| გაცემული/დაფარული სესხი                                              | (39,074)         |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობიდან</b>       | <b>(39,074)</b>  |
| სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტზე | 5,721            |
| <b>ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი</b>                               | <b>208,588</b>   |
| ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისთვის                              | -                |
| <b>ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოსთვის</b>                            | <b>208,588</b>   |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



*[Handwritten signature in blue ink]*

შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის  
(ლარში)

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ნაწილი

შპს „პარვუს ნეტი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2020 წლის 28 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდია 405 393 667, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქ., კორპუსი N22, სართული 13, ბინა N64 კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

შპს პარვუს ჯგუფი 100%;

კომპანიის დირექტორია ზურაბ ბესელია (62001024882)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ელექტროენერგიით და ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2. მომზადების საფუძველი

2020 წლის 1 ივლისიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დატულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო



შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოს, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი არ ემთხვევა კალენდარულ წელს (1 ივლისიდან 31 დეკემბრამდე).

### 3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა


#### შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

#### საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.





შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

### ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:



## შპს პარვუს ნეტი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

### გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

### დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

### მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური





## შპს პარვუს ნეტი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

### გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

ძალოვანი მოწყობილობები - 10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-7 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

### გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო

გადასახადის  
ესტონური  
მოდელის  
სახელით



## შპს პარვუს ნეტი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

### წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

### გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

### 1. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

|                                     |         |
|-------------------------------------|---------|
|                                     | 2020    |
| ნაღდი ფული სალაროში                 | 0       |
| ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე | 208 588 |





## შპს პარვუს ნეტი

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

## 2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

|                                          |           |
|------------------------------------------|-----------|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურობიდან | 1,407,943 |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები             | 10,700    |
| სესხებად გაცემული ფულადი სახსრები        | 40,000    |



2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

## 3. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

|                                    |         |
|------------------------------------|---------|
| სავაჭრო ვალდებულებები              | 563,512 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 12,500  |
| საგადასახადო ვალდებულებები         | 159,775 |



31.12.2020 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

## 4. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

|                              |           |
|------------------------------|-----------|
| საქონლის გაყიდვიდან          | 614,571   |
| მომსახურების გაწევიდან       | 97,987    |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 2,633,903 |



შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

**5. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**


კომპანიის 2020 წლის რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება შედგება:

|                                    |           |
|------------------------------------|-----------|
| რეალიზებული პროდუქციის ღირებულება  | 486,154   |
| სამშენებლო მომსახურების ღირებულება | 1,518,327 |

**6. ადმინისტრაციული ხარჯები.**

კომპანიის 2020 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

|                                      |          |
|--------------------------------------|----------|
| ა/მ ხარჯი                            | (15,459) |
| მივლინების ხარჯი                     | (8,620)  |
| ოფისი ხარჯი                          | (6,788)  |
| კომუნიკაციის ხარჯი                   | (313)    |
| კუმუნალური ხარჯი                     | (1,213)  |
| დაზღვევა                             | (2,781)  |
| წარმომადგენლობითი ხარჯი              | (2,704)  |
| საბანკო ხარჯი                        | (2,685)  |
| ქონების გადასახადის ხარჯი            | (454)    |
| სხვა ადმინისტრაციული და საერთო ხარჯი | (2,739)  |



*Handwritten signature in blue ink.*



*Handwritten signature in blue ink.*

შპს პარვუს ნეტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს  
(ლარში)

**7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია  
კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

